თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია



ქვიშის სპორტის სახეობებში (ფრენბურთი)

საერთაშორისო ფესტივალის ორგანიზების

ელექტრონული ტენდერის

სატენდერო დოკუმენტაცია

ქ. ბათუმი

2013

სარჩევი

1. ტექნიკური დოკუმენტაცია 3

2 დანართი №1, ფასების ცხრილი 5

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 12^1 მუხლის, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების საფუძველზე.

1. ტექნიკური დოკუმენტაცია

1.1. შესყიდვის ობიექტის მოცულობა:

ა) საპლაჟო ფრენბურთში საერთაშორისო ტურნირის ორგანიზება - **დანართი №1**.

1.2. ტექნიკური პირობები:

1.2.1. პრეტენდენტმა უნდა უზრუნველყოს:

ა) ტურნირში მინიმუმ 8 ქალთა გუნდის მოწვევა, აქედან მინიმუმ 4 უცხოური;

ბ) სანაპიროზე არსებული ქვიშის მოედნის იჯარა;

გ) მოწვეული სპორტსმენებისა და მსაჯების განთავსება სასტუმროში, სამჯერადი კვებით, ადგილობრივი სპორტსმენების კვება (დღეში ერთჯერ);

დ) I, II, III ადგილზე გასული გუნდების (მონაწილეთა) დაჯილდოება მედლებით, სიგელებითა და ფულადი ჯილდოებით;

ე) I ადგილზე გასულების დაჯილდოება თასებით (გუნდში 2 მონაწილე 2 თასი). ტურნირის ყველა მონაწილის დაჯილდოება სიგელებით. ასევე სხვადასხვა ნომინაციებში გამოვლენილების დაჯილდოება სიგელებით;

ვ) ტურნირის მომსახურება საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის მიერ სერთიფიცირებული მაღალი კვალიფიკაციის მსაჯებით (სამი ძირითადი მსაჯი, 4 დამხმარე მსაჯი, 3 მოწვეული მსაჯი);

ზ) ტურნირის სამედიცინო პერსონალით უზრუნველყოფა;

თ) ტურნირის მონაწილეთა და მსაჯთათვის ქ. ბათუმის მერიის ლოგოიანი მაისურების დამზადება: 16 მონაწილისათვის 3 კომპლექტი (სულ 48 ცალი), მსაჯებისათვის 10 მაისური, 10 კეპი;

ი) ტურნირისათვის აფიშების დაბეჭდვა და განთავსება;

კ) ტურნირის სასმელი წყლით მომარაგება;

ლ) ტურნირის მომსახურება გახმოვანების აპარატურითა და წამყვანით;

მ) ტრანსპორტი ტურნირის მონაწილეთათვის;

ნ) ტურნირის დასრულებისას ფურშეტის მოწყობა.

1.2.2. ტურნირის ადმინისტრირება უნდა განხორციელდეს შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამის სამსახურთან ერთად. აუცილებელია ტექნიკური პირობების ყველა მოთხოვნის შეთანხმება შემსყიდველ ორგანიზაციასთან.

1.3. ხელშეკრულების აუცილებელი პირობები:

1.3.1. ანგარიშსწორების პირობა:

ა) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ეტაპობრივად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და დღგ-ს ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში;

გ) საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

1.3.2. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა:

ა) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

1.3.3. მიწოდების ვადა და პირობები:

ა) მომსახურება უნდა განხორციელდეს 2013 წლის 26 ივლისიდან 29 ივლისის ჩათვლით პერიოდში.

1.4. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ:

ა) ხელშეკრულების საბოლოო ვარიანტი დაზუსტდება ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში, გარდა სატენდერო დოკუმენტაციის **1.3** პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნებისა.

1.5. პრეტენდენტი პირის რეკვიზიტები:

- პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება
- საიდენტიფიკაციო კოდი/ ნომერი
- პრეტენდენტის იურიდიული და ფაქტიური მისამართი:
- ხელმძღვანელის სახელი, გვარი
- პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი: ☎ტელ.: ; 🖷 ფაქსი.: ; 📱 მობ.: ;
- ელექტრონული მისამართი, E-mail:
- ბანკის დასახელება
- ბანკის კოდი
- ანგარიშსწორების ანგარიში

1.6. პრეტენდენტმა უნდა უზრუნველყოს:

1.6.1. სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული დოკუმენტების ატვირთვა სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში, შემდეგი თანმიმდევრობით:

- ფასების ცხრილი;
- ტექნიკური პირობები;
- ხელშეკრულების აუცილებელი პირობები;
- პრეტენდენტი პირის რეკვიზიტები;

1.6.2 ყველა დოკუმენტი ხელმოწერილი და ბეჭედდასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.

1.7. საკონტაქტო ინფორმაცია:

ა) სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში, წერილობითი მიმართვის შემთხვევაში. ქ. ბათუმი, ლერმონტოვის ქ. №90; E-mail: tender@batumi.ge; საკონტაქტო პირები: დავით ბაბილოძე, ტელეფონი: (0 422) 24 63 12, 87; ბაგრატ ხალვაში, ტელეფონი: (0 422) 27 26 18.

2. დანართი №1

ფასების ცხრილი

პრეტენდენტის დასახელება _____

სატენდერო წინადადების ფასი _____

№	დასახელება	განზომილების ერთეული, რაოდენობა		ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)
1	ტურნირის ორგანიზება	ცალი	1		
2	თასი	ცალი	2		
3	დიპლომი	ცალი	25		
4	მაისური (სპორტსმენებისათვის)	ცალი	48		
5	მაისური კეპით (მსაჯებისათვის)	ცალი	10		
6	მედალი	ცალი	6		
7	აფიშა	ცალი	10		
8	წყალი (0,5 ლ)	ცალი	1000		
9	მოედნის იჯარა, 4 დღე	ცალი	1		
10	წამყვანის მომსახურება, 3 დღე	ცალი	1		
11	ტრანსპორტირება, 4 დღე	ცალი	1		
12	ფურშეტი	კაცი	30		
13	საპრიზო ფონდი (ფულადი ჯილდო)	ცალი	1		
სულ ჯამი					

პრეტენდენტის ხელმოწერა _____ **ბ.ა.**